

პროქტოლოგია

--44 თვე--

I. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროქტოლოგიის (პროქტოლოგია) დარგში სარეზიდენტო პროგრამა მოიცავს 44 თვეს და რეზიდენტი მასში ერთგვარად ზოგად ქირურგიაში დიპლომის შემდგომი განათლების 2 წლიანი (post-graduate year (pgy) 1; pgy 3) პროგრამის გავლის შემდეგ.

პროქტოლოგიაში სარეზიდენტო პროგრამის მიზანს და ამოცანებს წარმოადგენს

მსხვილი და სწორი ნაწლავის დაავადებები:

- (1) სილრმისეული შესწავლა;
- (2) ენდოსკოპიური დიაგნოსტიკის მეთოდების ათვისება, რადიოლოგიური კვლევების ინტერპრეტაციის/შეფასების უნარის შექმნა;
- (3) მართვა/მკურნალობა (ქირურგიული, კონსერვატიული, მცირეინვაზიური) ჰოსპიტალის და/ან ამბულატორიის პირობებში;
- (4) ქირურგიული მკურნალობისთვის საჭირო ზოგადი გაუტკივარების, ლოკალური და რეგიონული ანესთეზიის საკითხების შესწავლა;
- (5) ლაპაროსკოპიული მიდგომით მკურნალობის ტექნიკასა და ტაქტიკასთან გაცნობა;
- (6) ავთვისებიანი ფორმების მკურნალობის მეთოდების/მიმართულებების შესწავლა;
- (7) სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში წარმართვის უნარების შექმნა.

პროქტოლოგიაში რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი და წევრები მზად უნდა იყვნენ პროგრამის მიზნისა და ამოცანების შესრულებაში რეზიდენტისათვის ნებისმიერი სახის აკადემიური და პროფესიული დახმარების აღმოჩენისა და/ან მიმართულების მიცემისთვის.

პროქტოლოგიაში სარეზიდენტო პროგრამა შედგება 8 მოდულისგან.

პროფესიული მზადების თითოეული მოდულისათვის პროგრამაში მოცემულია მზადების მიზანი, ამოცანები, ასათვისებელი უნარ-ჩვევების ნუსხა, ხანგრძლივობა/ვადები და მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლის ათვისება უნდა დაადასტუროს რეზიდენტმა თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ.

სწავლის პერიოდში რეზიდენტი უნდა ახდენდეს პასუხისმგებლობის და ეთიკური ნორმების დემონსტრირებას. სარეზიდენტო პროგრამის დასრულების შემდეგ ის უნდა ფლობდეს სათანადო თეორიულ ცოდნასა და უნარ ჩვევებს საიმიხედვით, რომ შეძლოს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება “პროქტოლოგიის” (პროქტოლოგია) სპეციალობით და პროქტოლოგიის დარგში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა. მან უნდა შეიძინოს ღრმა თეორიული ცოდნა ზოგად ქირურგიასა და პროქტოლოგიაში, გააჩნდეს პაციენტის მკურნალობისა და მოვლის, კლინიკის პერსონალთან, პაციენტსა და მის ახლობელთან კომუნიკაციის, გეგმიურ და/ან სასწრაფო-გადაუდებელ სიტუაციებში გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღების, სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობის, პროფესიული ინტეგრაციის უნარები.

2. სპეციალობის აღწერილობა

პროქტოლოგია მედიცინის დარგია, რომელიც შეისწავლის სწორი და მსხვილი ნაწლავის, პარარექტული და გავა-კუდუსუნის მიდამოს დაავადებებს, მათ ქირურგიულ, მცირეინვაზიურ და კონსერვატიულ მკურნალობას. ძველი სახელწოდება – პროქტოლოგია – თანამედროვე დროში ნაკლებად გამოიყენება და მხოლოდ ანუსის და სწორი ნაწლავის პათოლოგიებს მოიცავს. ევროპის ქვეყნებსა და ა.შ.შ. კოლოპროქტოლოგიას მსხვილი და სწორი ნაწლავის ქირურგიად

(Colon and Rectal Surgery) მოიხსენიებენ; თუმცა, ჩვენ უფრო მართებულ დასახელებად პროქტოლოგიას მივიჩნევთ, რადგან აღნიშნული დარგი პარარექტული და გავა-კუდუსუნის მიდამოს პათოლოგიებსაც შეისწავლის და თანაც, მკურნალობის არამხოლოდ ქირურგიულ მეთოდებს განიხილავს.

პროქტოლოგია, როგორც მედიცინის დარგი დინამიკურ განვითარებას განაგრძობს სწორი და მსხვილი ნაწლავის ფიზიოლოგიაში უკეთ წვდომის ინსტრუმენტული მეთოდების, ლაპაროსკოპიული და ნაკლებადინვაზიური ჩარევების ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით; აღნიშნულიდან გამომდინარე შექმნილია საჭიროება, ექიმში პერმანენტულად იძიებდეს ახალ ინფორმაციას, უკეთეს შემთხვევაში - მიემგზავრობდეს შესაბამის ქვეყნებში მოწინავე ტექნოლოგიების ასათვისებლად (აღნიშნული ძირითადად შეეხება ლაპაროსკოპიულ კოლორექტულ ქირურგიას, რადიოლოგიური კვლევის მეთოდებს).

დაავადებები/პათოლოგიური მდგომარეობები, რომელთა პროფილაქტიკას, კლინიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას შეისწავლის პროქტოლოგია

1. სწორი ნაწლავის და ანალური გასავლის განვითარების მანკები
2. ჰემოროიდული დაავადება
3. ანალური ნაპრალი
4. სწ. ნაწლავის ინტრასფინქტერული ფისტულა
5. სწ. ნაწლავის ტრანსსფინქტერული ფისტულა
6. სწ. ნაწლავის ექსტრასფინქტერული ფისტულა
7. პილონიდური დაავადება (კუდუსუნის ეპითელური გზა)
8. მწვავე კანქვეშა-ლორწქვეშა პარაპროქტიტი
9. მწვავე პოსტანალური პარაპროქტიტი
10. მწვავე იშიორექტული პარაპროქტიტი
11. მწვავე პელვიორექტული პარაპროქტიტი
12. მწვავე რექტორექტული პარაპროქტიტი
13. მწვავე სფინქტეროშორისი პარაპროქტიტი
14. ანალური სტენოზი/პექტენოზი
15. მწვავე პუტრიდულ-ნეკროზული არაკლოსტრიდიული პარაპროქტიტი
16. მწვავე ანაერობული პარაპროქტიტი (ფურნიეს განგრენა)
17. კოლორექტული ენდომეტრიოზი
18. მახვილწვეტიანი კონდილომები
19. ანალური ინკონტინენცია
20. პერიანალური ჰიდრადენიტი
21. პროქტიტი/პროქტოსიგმოიდიტი (ბანალური)
22. არადიფერენცირებული (შუალედური) კოლიტი
23. ანალური ქავილი
24. ანალური დერმატიტი
25. სწ. ნაწლავის პროლაფსი
26. შორისის დაწვეის სინდრომი
27. რექტოვაგინური ფისტულა
28. რექტოცელე
29. მენჯის ძირის დისფუნქცია
30. ინფილტრაციული პარაპროქტიტი
31. ანალური, პრესაკრული და/ან გავის მიდამოს დერმოიდული კისტა
32. სწორი ნაწლავის სხვადასხვა სახის ტრავმული დაზიანება
33. მსხვილი ნაწლავის ტრავმული დაზიანება
34. სწ. ნაწლავის უცხო სხეული
35. კრონის დაავადება
36. მსხვილი ნაწლავის დივერტიკულური დაავადება
37. კოლო-გეზიკალური ფისტულები
38. კოლო-ვაგინალური ფისტულები
39. კოპროსტაზი
40. კოლოსტაზი
41. იშემიური კოლიტი
42. კოლაგენური კოლიტები

43. მეგაკოლონი
44. არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი
45. ჰირშპრუნგის დაავადება
46. ფსევდომემბრანული კოლიტი
47. მსხვილი ნაწლავის მელანოზი
48. დიფუზური პოლიპოზი
49. მსხვილი ნაწლავის გაღიზიანების სინდრომი
50. მსხვილი ნაწლავის ფისტულა
51. სისხლდენა სწ. და/ან მსხვილი ნაწლავიდან
52. მსხვილი ნაწლავის ობსტრუქცია
53. სწორი ნაწლავის ობსტრუქცია
54. სტრანგულაციური გაუვალობა
55. შეხორცებითი გაუვალობა
56. პერიტონიტი
57. პარაკოლოსტომური აბსცესი
58. ბოქვენ-სწორი ნაწლავის სინდრომი
59. კოკციგოდინია
60. პროქტალგია
61. სწ. ნაწლავის სოლიტარული წყლული
62. შეკრულობა/ფაღარათი
63. ანალური პოლიპი, პაპილომა
64. პარარექტული ტერატომა
65. პრესაკრული ტერატომა
66. კოლორექტული კეთილთვისებიანი სიმსივნეები
67. ანალური კიბო
68. სწ. ნაწლავის კიბო
69. მსხვილი ნაწლავის კიბო
70. ბოუენის დაავადება (Bowen's Disease)
71. სწორი ნაწლავის ადგილობრივად გავრცელებული კიბო

დიანოზისტიკური და სამკურნალო მანიპულაციები, რომელსაც უნდა ფლობდეს ან რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება** უნდა შეეძლოს პროქტოლოგს**

1. პერინეალური, პერიანალური და ანალური მიდამოს ინსპექცია/პალპაცია
2. თითოთ რექტული გასინჯვა
3. ბიდიგიტალური რექტო-პერიანალური გასინჯვა
4. ბიმანუალური რექტო-ვაგინური გასინჯვა
5. ანოსკოპია
6. სიგმოსკოპია
7. კოლონოსკოპია
8. სფინქტერომეტრია
9. სწ. ნაწლავის მომჭერი აპარატის ელექტროსტიმულაცია
10. ტრანსრექტული ულტრასონოგრაფია**
11. ირიგოსკოპია**
12. ე.კ.გ. კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევები**
13. სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინული, ნერვული, ძვალ-საყრდენი, სისხლმზადი, შარდსასქესო სისტემების შემაფასებელი ტესტები (კვლევები)**
14. დეფეკოგრაფია**
15. სწორი და/ან მსხვილი ნაწლავის სიმსივნეების ბიოფსია პათომორფოლოგიური და/ან ციტოლოგიური კვლევისთვის
16. ანალური გასავლის გაჭიმვა/დიფუზსია
17. ადგილობრივი ინფილტრაციული ანესთეზია
18. შიგნითა ჰემოროიდების ლიგაცია
19. შიგნითა ჰემოროიდების ინფრაწითელი ფოტოკოაგულაცია
20. შიგნითა ჰემოროიდების მასკლეროზებელი თერაპია
21. პერიდურული, სპინალური ანესთეზია, ნარკოზი**
22. ქსოვილოვანი მასალის/ექსუდატის აღება ბაქტერიოლოგიური კვლევისთვის
23. აბდომინური კტ**
24. გულმკერდის კტ**

25. ფიბროზოფაგოვასტროდუდენოსკოპია**
26. სწ. და მსხვილი ნაწლავის უცხო სხეულის ენდოსკოპიური ევაკუაცია
27. გასტროინტესტინური ტრაქტის ზედა სართულის რენტგენოკონტრასტული კვლევები**
28. ილეო- ან კოლოსტომის მოვლა
29. კოპროსტაზის დაშლა/ევაკუაცია
30. ოპ/შ ჭრილობის პირობებში გამწმენდი ოყნის გაკეთება
31. კოლორექტული კიბოს სკრინინგის ტესტები**
32. პერორალური რენტგენოკონტრასტული კვლევა**
33. კოლპოსკოპია/ცერვიკალური ბიოფსია**
34. ვაგინალური გასინჯვა
35. ჰისტეროსკოპია
36. უსადენო კაფსულური ენდოსკოპია**
37. ცისტოსკოპია, ურეთეროსკოპია**
38. უროგრაფია**
39. ცისტოგრაფია**
40. რეტროგრადული ურეთეროპიელოგრაფია**
41. ბალონური ენდოსკოპია (ენტეროსკოპია)**
42. დუოდენური ბილიარული დრენაჟი**
43. ლაპაროსკოპია
44. მაგნიტურ რეზონანსული გამოსახვა/სკანირება**
45. ურინარული ინკონტინენცია**
46. წინამდებარე ჯირკვლის კიბოს სკრინინგის ტესტები**
47. საშვილოსნოს კიბოს სკრინინგის ტესტები**
48. ფეკალური ოკულტური სისხლის და იმუნოქიმიური ტესტები**
49. ეზოფაგური pH მეტრია/მონიტორინგი**
50. ტრანსვაგინური ულტრაბგერითი კვლევა**
51. მენჯის დინამიკური მაგნიტურ ბირთვული გამოსახვა**
52. კტ კოლონოგრაფია (ვირტუალური კოლონოსკოპია)

ოპერაციების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროქტოლოგი (საკერი აპარატებით და მათ გარეშე, ტრადიციული და/ან ლაპაროსკოპული მეთოდით).

1. აპენდექტომია
2. ორლულა კოლოსტომია
3. ერთლულა კოლოსტომია
4. ორლულა ილეოსტომია
5. ერთლულა ილეოსტომია
6. ორლულა კოლოსტომის/ილეოსტომის რეკონსტრუქცია/დახურვა
7. ერთლულა კოლოსტომის/ილეოსტომის რეკონსტრუქცია/დახურვა
8. კოლოტომია, კოლორაფია
9. კოლო-რექტული ანასტომოზი
10. კოლო-კოლო ანასტომოზ(-ები)
11. ენტერო-ენტერო ანასტომოზ(-ები)
12. ილეო-კოლო ანასტომოზი
13. რეზერვუარული ილეო-რექტო ანასტომოზ(-ები)
14. მარცხენამხრივი ჰემიკოლექტომია
15. მარჯვენამხრივი ჰემიკოლექტომია
16. განივი კოლინჯის რეზექცია
17. ტოტალური და სუბტოტალური კოლექტომია
18. კოლპროქტექტომია
19. პრესაკრული რექტოპექსია
20. სწორი ნაწლავის წინა რეზექცია
21. სწორი ნაწლავის წინა დაბალი რეზექცია
22. სწ. ნაწლავის აბდომინოანალური რეზექცია, ნაწლავის ანალურ არხში ჩამოტანით
23. სწორი ნაწლავის აბდომინოპერინეული ექსტირპაცია
24. სწ. ნაწლავის ფისტულის ამოკვეთა
25. ანალური ნაპრალის ამოკვეთა
26. ღია დოზირებული სფინქტეროტომია

27. დახურული დოზირებული სფინქტეროტომია
28. ჰემოროიდექტომია
29. ჰემოროიდების ელექტროკოაგულაცია/დესტრუქცია
30. ლევატროსფინქტეროპლასტიკა
31. სფინქტეროგლუტოპლასტიკა
32. სფინქტეროპლასტიკა ბარძაყის ნაზი კუნთის ნაფლეთით
33. მწვავე პარაპროქტიტის გახსნა/დრენირება, შიგნითა ხვრელის ლიკვიდაცია
34. პილონიდური სინუსის ამოკვეთა
35. პარარექტული ტერატომის ამოკვეთა
36. პრესაკრული ტერატომის ამოკვეთა
37. კუდუსუნის ძელის ამოკვეთა
38. სწორი ნაწლავის სტრიქტურების რეკონსტრუქცია
39. Meckel-ის დივერტიკულექტომია
40. წვრილი ნაწლავის რეზექცია
41. ღვიძლის წილის სეგმენტის რეზექცია
42. ლაპაროტომია, ლაპაროსკოპია
43. ვენტრალური თიაქრების პლასტიკა
44. ჭიპის თიაქრის პლასტიკა
45. მენჯის ღრუს ორგანოთა ეგზენტერაცია (მენჯის ევისცერაცია)

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

პროქტოლოგიაში სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 წელი და ითვალისწინებს რეზიდენტის როგორც თეორიულ, ისე - პრაქტიკულ მომზადებას. პროქტოლოგიის დაწვებამდე რეზიდენტმა უნდა გაიაროს 2 წლიანი რეზიდენტურა ზოგად ქირურგიაში (იხ. ქვემოთ).

პროგრამა ითვალისწინებს რეზიდენტის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 41 საათიან დაყოვნებას პოსპიტალში/დიგნოსტიკურ ცენტრებში. პროგრამის მიმდინარეობის დროს ობიექტური მიზეზების წამოჭრის შემთხვევაში რეზიდენტს არ აქვს უფლება შეწყვიტოს სწავლა სამ თვეზე მეტი ხანგრძლივობით.

თითოეული რეზიდენტი ჩართულია თეორიულ-პრაქტიკულ საქმიანობაში (სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, პაციენტების მოვლა, ასისტენცია ქირურგიული ჩარევებისას, ოპერაციის შემდგომი პერიოდის მართვა, ამბულატორიულ რეჟიმში პაციენტთა მკურნალობა). ამ პროცესის დროს რეზიდენტებზე ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალურად დანიშნული ექიმის (მოდულზე პასუხისმგებელი პირი - ლოკალური ხელმძღვანელი) მიერ. თითოეულ რეზიდენტზე ზედამხედველობა და მისი საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წერილობითი ანგარიშის სახით. პროფესიული მზადების დაწყებიდან დროის პროპორციულად რეზიდენტს ეზრდება პასუხისმგებლობა და მოვალეობები კლინიკური საქმიანობისას. მოდულზე პასუხისმგებელ პირს (ლოკალური ხელმძღვანელი) გააჩნია იურიდიული და ეთიკური პასუხისმგებლობა, როგორც პაციენტის მკურნალობასა და მოვლაზე, ისე მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი რეზიდენტის საქმიანობასა და ცოდნის ხარისხის ამდგენაზე. მითითებების ჯაჭვი ითვალისწინებს ეტაპობრივად პასუხისმგებლობის ზრდას. უფლებამოსილების გადაცემის ფარგლები განისაზღვრება ზედამხედველი ექიმის მიერ, რეზიდენტის აკადემიური და ტექნიკური მზაობის ხარისხიდან გამომდინარე. სწავლის პროცესში:

1. რეზიდენტზე ზედამხედველობას ანხორციელებს კლინიკის ადმინისტრაცია და სასწავლო დაწესებულების წარმომადგენელი;
2. ზედამხედველობა ხელს არ უნდა უშლიდეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას რეზიდენტის მიერ; თუმცა, ეს მიდგომა საჭიროა ვარირებდეს კლინიკური სიტუაციების სირთულის შესაბამისად;
3. პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულზე პასუხისმგებელი პირი (ლოკალური ხელმძღვანელი) ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი რეზიდენტისთვის რჩევის მიცემისა და დახმარებისთვის.

რეზიდენტი პროქტოლოგიის პროგრამაში მონაწილეობამდე სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ზოგად ქირურგიაში დადგენილ აკადემიურ კრიტერიუმებს (რაც მიღწევადია ზოგად ქირურგიაში რეზიდენტურის 2 წლიანი პროგრამის გაყლის შემდეგ).

რეზიდენტის კომპეტენციისა და კლინიკური უნარ ჩვევების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება განხორციელდება OSCE (Objectively Structured Clinical Examination – ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) სისტემის საშუალებით.

OSCE ტესტებმა/ქვისებმა უნდა მოიცვას ყველა გავრცელებული და მნიშვნელოვანი მდგომარეობა, რასაც შეიძლება შეხვდეს პროქტოლოგი ყოველდღიურ პრაქტიკაში.

რეზიდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების, ქირურგიული ტექნიკის, თეორიული ცოდნის ხარისხის ამსახველი ინფორმაცია საბოლოო ჯამში თავს მოიყრის რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეზიდენტთა მზადების მონიტორინგი განხორციელდება ეტაპობრივად, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ. რეზიდენტის შეფასება შესაძლებელია მოხდეს ზეპირი, ტესტური, წერილობითი გამოკითხვით, უნარ-ჩვევებზე უშუალო ზედამხედველობის გზით. მოდულის დასრულების შემდეგ შეფასების ანგარიში გადაეგზავნება პროგრამის დირექტორს განსახილველად და ხელმოწერისთვის.

პროფესიული მზადების I წელიწადი		
№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ზოგადი ქირურგია I	10 თვე
1.2.	ლაპაროსკოპიული ქირურგია (ბაზისური ნაწილი)	1 თვე

პროფესიული მზადების II წელიწადი		
№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	ზოგადი ქირურგია II (ზოგ.ქირ 3 თვე + ონკოქირურგია 2)	5 თვე
2.2.	სისხლძარღვთა ქირურგია	1 თვე
2.3.	უროლოგია	1 თვე
2.4.	ბავშვთა ქირურგია	2 თვე
2.5.	გინეკოლოგია	1 თვე
2.6.	ლაპაროსკოპიული ქირურგია (კლინიკური კურსი)	1თვე

პროფესიული მზადების III და IV წელიწადი		
№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	ანო-რექტული ქირურგია	11 თვე
4.1.	ენდოსკოპია (სიგმოსკოპია, კოლონოსკოპია)	2.5 თვე
4.2.	რადიოლოგია (ირიგოსკოპია; დეფეკოგრაფია; მენჯის მაგნიტურ ბირთვული გამოსახვა, ენდორექტული ულტრასონოგრაფია)	1 თვე
4.3.	გასტროენტეროლოგია	2 კვირა
4.4.	მსხვილი ნაწლავის ანთებითი დაავადებები, ტრანზიტორული დარღვევები	1 თვე
4.5.	მსხვილი ნაწლავის ქირურგია (ონკოქირურგიით)	5 თვე
4.6.	კოლოპროქტოლოგიური ლაპაროსკოპიული ქირურგია	3 კვირა
4.7.	კოლოპროქტოლოგიაში სამეცნიერო კვლევების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში წარმართვის კრიტერიუმები	1 კვირა

4. აპაქემიური კერსონალი და საბანანათმშენებლო რესურსები

პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მოვალეობები:

1. საექიმო სპეციალობების მაძიებელთა/რეზიდენტთა რეზიდენტურაში მიღების კრიტერიუმებისა და მისაღები პროგრამის განსაზღვრა.

2. დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობაზე კონტროლი.
3. სამედიცინო დაწესებულებისა და ლოკალური ხელმძღვანელის, ანუ მოდულზე პასუხისმგებელი პირის მითითებით რეზიდენტის ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის შედგენა.
4. წინასწარ დადგენილი ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით რეზიდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და ჩატარებული მანიპულაციების რაოდენობაზე/ხარისხზე კონტროლი.
5. ყოველი მოდულის გავლის შემდეგ შეფასების შედეგების გათვალისწინებით, რეზიდენტისათვის რეკომენდაციის მიცემა პროგრამის გაგრძელების შესახებ.
6. მოდულზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად დადგენილი წესის მიხედვით რეზიდენტის მუშაობის შეფასება და სასწავლო დაწესებულებისათვის ანგარიშის ჩაბარება.
7. რეზიდენტის საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად შეფასებისას, სასწავლო დაწესებულებისათვის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის წარდგენა გარიცხვის შესახებ.
8. რეზიდენტურის კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ შემაჯამებელი ატესტაციის ჩატარება და, ატესტაციის შედეგების გათვალისწინებით, რეზიდენტისათვის რეკომენდაციის გაწევა რეზიდენტურის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შესახებ.
9. მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის კონტროლი და შეფასება.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის, ანუ ლოკალური ხელმძღვანელის მოვალეობები:

1. რეზიდენტების შერჩევის პროცესში მონაწილეობა.
2. პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ყოველწლიურად რეზიდენტების მუშაობის დადგენილი წესის მიხედვით შეფასება.
3. პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად რეზიდენტის ატესტაციის ფორმატის შემუშავება.
4. რეზიდენტის შემაჯამებელ ატესტაციაში მონაწილეობა.
5. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის მუშაობის წარმართვა.
6. რეზიდენტებთან პედაგოგიური მუშაობისათვის საკუთარი საქმიანობის გარკვეული დროის დათმობა.
7. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელისათვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა.
8. რეზიდენტის დღიურში მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.
9. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის დირექტორისათვის რეზიდენტურის პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტაციის გაწევა.

რეზიდენტის უფლება/მოვალეობანი:

1. რეზიდენტი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი.
2. რეზიდენტი ვალდებულია რეზიდენტურის პროგრამის მიხედვით შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს დღიურში.
3. რეზიდენტი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების განრიგით განსაზღვრული საქმიანობა.
4. რეზიდენტს უფლება აქვს რეზიდენტურის პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისთვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, თანამედროვე საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ადგილი ექიმთა სამუშაო ოთახში).

5. რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სასწავლო დაწესებულებას.
6. რეზიდენტი შეიძლება გარიცხული იქნას რეზიდენტურიდან ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისი მოხსენებითი ბარათის წარდგენით.
7. რეზიდენტი ვალდებულია გაიაროს შუალედური და საბოლოო შეფასება. *შუალედური* შეფასება ტარდება ყოველი მოდულის დასასრულს მოდულის პასუხისმგებელ პირთან; *საბოლოო შეფასება* – პროგრამის დასრულების შემდეგ ხორციელდება ტესტირების გზით. რეზიდენტს, რომელიც მიიღებს შეფასებას 50-75% ფარგლებში მიეცემა გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლება; <50%-ზე შეფასების მქონე რეზიდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება ორი კვირის შემდეგ დამატებითი ერთკვირიანი ტრენინგის გავლის შემთხვევაში (ტრენინგის პროგრამას განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი).
8. სარეზიდენტო პროგრამის სრულად და ხარისხიანად გავლის შემთხვევაში, რეზიდენტი იღებს დიპლომის შემდგომი განათლების მიღების დამადასტურებელ მოწმობას.
9. სარეზიდენტო პროგრამის (მოდულის) არასათანადოდ გავლის ან ტესტირებისას არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომლებიც დამატებით უნდა გაიაროს რეზიდენტმა.
10. დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) რეზიდენტურის პროგრამა არ ჩაითვლება გავლილად, თუ განმეორებითი სარეზიდენტო პროგრამის 2-ჯერ მეტ ვადაში მაძიებელი ვეღარ ასწრებს შემადგენელი მოდულების გავლას, ან რომელიმე მოდულში კვლავ მიიღებს უარყოფით შეფასებას. ასეთ შემთხვევაში მაძიებელი მიიღებს ცნობას დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის მოსმენის თაობაზე.

5. პროგრამის ხანგრძლივობა და დინამიკა

პროგრამის სრული ხანგრძლივობაა 4 წელი, ხოლო საკუთრივ პროქტოლოგიაში (პროქტოლოგია) დიპლომის შემდგომი მზადების პერიოდი მოიცავს 2 წელს. პროგრამის მიმდინარეობის დროს, საექიმო სპეციალობის მაძიებელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, სწავლის შეწყვეტა არ შეუძლია სამ თვეზე მეტი ხანგრძლივობით. პროგრამა ითვალისწინებს რეზიდენტის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 41 საათიან დაყოფნებას საავადმყოფოს გარემოში. პროფესიული მზადების პერიოდში რესურსების სიმცირის, პროგრამის უწყვეტობის შემაფერხებელი რისკ-ფაქტორების შესაძლო ჩართვის გამო, თუ რეზიდენტი ვერ შეასრულებს კლინიკურ უნარ-ჩვევათა მინიმალურად საკმარისი რაოდენობის კვლევას, პროგრამის ფაკულტეტი განიხილავს საკითხს რეზიდენტურის ხანგრძლივობის გაზრდასა და/ან კლინიკური ბაზის შეცვლასთან დაკავშირებით.

პროქტოლოგიაში დიპლომის შემდგომი მზადებისას რეზიდენტის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს კლინიკის სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობაც. რეზიდენტი პროგრამის დასაწყისიდანვე ეტაპობრივად უნდა ჩაერთოს ქირურგიულ აქტივობაში ზედამხედველი ექიმის ხელმძღვანელობით.

6. პროგრამის განახლების პერიოდულობა

პროგრამის განახლება უნდა ხდებოდეს 4 წელიწადში ერთხელ

7. სარეზიდენტო პროგრამის შინაარსი

პროქტოლოგიის დარგში სარეზიდენტო პროგრამაში ჩართვამდე რეზიდენტმა უნდა გაიაროს 2 წლიანი (24 თვე) დიპლომის შემდგომი სწავლება ზოგად ქირურგიაში.

რეზიდენტურის პროგრამა “ზოგადი ქირურგია”

პროფესიული მზადების I წელიწადი		
№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ზოგადი ქირურგია I	10 თვე
1.2.	ლაპაროსკოპიული ქირურგია (ბაზისური ნაწილი)	1 თვე

პროფესიული მზადების II წელიწადი		
№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	ზოგადი ქირურგია II (ზოგ.ქირ 3 თვე + ონკოქირურგია 2)	5 თვე
2.2.	სისხლძარღვთა ქირურგია	1 თვე
2.3.	უროლოგია	1 თვე
2.4.	ბავშვთა ქირურგია	2 თვე
2.5.	გინეკოლოგია	1 თვე
2.6.	ლაპაროსკოპიული ქირურგია (კლინიკური კურსი)	1თვე

პროფესიული მზადების I წლის მიზანი

ზოგად ქირურგიაში დიპლომის შემდგომი მომზადების პირველი წლის პროგრამის გავლისას აქცენტი ძირითადად უნდა გაკეთდეს ქირურგიული პაციენტის მოვლაზე; ანუ, რეზიდენტის მოვალეობას პირველ რიგში წარმოადგენს პრე- და პოსტოპერაციული პერიოდის მართვის შესწავლა. ამავდროულად, რეზიდენტის საქმიანობა უნდა მოიცავდეს ოპერაციული აქტივობის თანდათანობით ზრდას. პაციენტის მოვლაზე მეთვალყურეობას ანხორციელებენ უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი, რომლებიც უფლებამოსილებას უნაწილებენ უმცროს რეზიდენტსაც. სწავლების პირველი წლიდანვე საჭიროა შეიქმნას აკადემიური ატმოსფერო საიმისოდ, რომ უმცროსმა რეზიდენტმა უფრო გამოცდილი სამედიცინო პერსონალისაგან შეიძინოს თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება. მნიშვნელოვანია, უმცროსი რეზიდენტი, პირველი წლის დასაწყისიდანვე ეტაპობრივად ჩაერთოს ოპერაციულ აქტივობაში, უფროსი რეზიდენტისა და ზედამხედველი ექიმის ხელმძღვანელობით.

ზოგად ქირურგიაში პროფესიული მზადების I წლის მოდულები

მოდული 1.1.

- 1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა:** ზოგადი ქირურგია, 10 თვე.
- 2. მოდულის მიზანი** - სწავლების საწყისი ეტაპის მიზანია რეზიდენტს განუვითაროს საბაზისო და ფუნდამენტური ქირურგიული ჩვევები, რაც საერთოა ყველა ქირურგიული სპეციალობისთვის. რეზიდენტმა უნდა შეისწავლოს პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციული პერიოდის მართვის საკითხები. იგი უნდა გაეცნოს ქირურგიული ინფექციისა და კლინიკური მიკრობიოლოგიის სპეციფიკას, ქირურგიული და ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის გზებს. პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტმა უნდა დაიწყოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულება, შესასწავლ საკითხთა შორის არის ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება, ინტენსიური თერაპიის პალატაში პოსტოპერაციული პაციენტის მდგომარეობის შეფასება, კემოდინამიკური და ჰომეოსტაზური მახვენებლების კონტროლი და მათი დარღვევის კორექცია. რეზიდენტი, რამდენიმე თვის შემდეგ უნდა ასრულებდეს ამბულატორიულ ქირურგიულ ჩარევებს. მოდულის ბოლოს, ის საჭიროა ფლობდეს გადაუღებელი სამედიცინო მანიპულაციების შესრულების ტექნიკას, მათ შორის არის ტრაქეოტომია, ტრაქეის ინტუბაცია, სხვ.
- 3. მოდულის ამოცანები:** რეზიდენტმა საჭიროა შეისწავლოს ჩირქოვანი ქირურგიის პრინციპები, რაც უნდა გამოიყენოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების (აბსცესების და ფლეგმონების დრენირება, პანარიციუმის, ჰიდრადენიტის და სხვა ჩირქოვანი კერების გახსნა/დრენირება) დამოუკიდებლად შესრულებისას. მოგვიანებით, რეზიდენტი ეუფლება ლაპაროტომიისა და ლაპაროტომიული ჭრილობის დახურვის, ანატომიური სტრუქტურების (ნერვი, მყესი, სისხლძარღვი) აღდგენის, ბიოფსიური მასალის აღების ტექნიკას, ლაპაროსკოპიული ქირურგიის საფუძვლებს. მან უნდა შეიძინოს საკმარისი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საიმისოდ, რომ შეძლოს ასისტენცია ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს.

ლიტერატურის ნუსხა

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი.2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004. (თარგმანი).
3. ლ.კიკალიშვილი, ე.ეფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბ., 2005.
4. Schwartz; Shires; Spencer Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), P Ronan O'Connell (Author) , 25th edition, 2006
6. Sarrel B.E., Carabasi R.A. Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C. Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W. Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M. Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X. Scientific Basic for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.
12. Кузин М.И. Хирургические болезни, Москва, 2003.

http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm (clinical surgery, surgical videos).
www.surgical-tutor.org.uk
<http://www.surgicalcourses.org.uk/>
www.dundee.ac.uk/surgicalsills/index.htm
<http://www.update-software.com/publications/cochrane/>
<http://www.ncepod.org.uk/>
<http://www.intumed.com/>

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1.1-ის სახით).
 ცხრილი № 1.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციების რაოდენობა	შეფასების მეთოდები
ზოგადი ქირურგიული ჩვევები: უსაფრთხო ქირურგიის პრინციპები	ქირურგის მომზადება ოპერაციისთვის		მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმში აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს.
<ul style="list-style-type: none"> • ქირურგის მომზადება ოპერაციისთვის • ხელის დაბანის, დამუშავებისა და ხელთათმნის ჩაცმის პრინციპები • ქირურგებისა და პაციენტების იმუნიზაციის პროტოკოლები • ადგილობრივი ანესთეზიის დანიშვნა • საანესთეზიო პრეპარატის შერჩევა 	<ul style="list-style-type: none"> • ეფექტური და საიმედო ხელის დაბანა, ხელთათმნის და სტერილური ხალათის ჩაცმა 	30	
ქირურგიული ჭრილობები	ადგილობრივი ანესთეზიის ტექნიკა, საანესთეზიო აგენტის სწორი და უსაფრთხო გამოყენება კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა:	10	თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
<ul style="list-style-type: none"> • ქირურგიული ჭრილობების კლასიფიკაცია • ჭრილობის მართვის პრინციპები • ჭრილობის შეხორცების პათოფიზიოლოგია • ნაწიბურები და კონტრაქტურები 	<ul style="list-style-type: none"> • სკალპელის, დიათერმიის და მაკრატლის გამოყენება 	20	
	კანისა და კანქვეშა ქსოვილის დახურვა		
	<ul style="list-style-type: none"> • ჭრილობის კიდების 		

<ul style="list-style-type: none"> • კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა: <ul style="list-style-type: none"> ○ ლანგერის ხაზები ○ ინსტრუმენტის არჩევა ○ უსაფრთხო პრაქტიკა • კანისა და კანქვეშა ქსოვილის დახურვა <ul style="list-style-type: none"> ○ ჭრილობის ყრუდ გაკერვის ჩვენებები ○ საკერავი ძაფისა და ნემსის არჩევა • კვანძის დადება <ul style="list-style-type: none"> ○ ნაკერისა და ლიგატურის დასადები მასალა და მათი შერჩევა ○ ქირურგიული ნაკერებისა და ლიგატურებისთვის კვანძების უსაფრთხო გამოყენება • ჰემოსტაზი <ul style="list-style-type: none"> ○ ქირურგიული ტექნიკა ○ დიათერმიის პრინციპები ○ ინსტრუმენტების შერჩევა • ბიოფსიის ტექნიკა ასპირაციული ციტოლოგიური მასალის აღების ჩათვლით • დრენაჟის გამოყენება <ul style="list-style-type: none"> ○ ჩვენება ○ ტიპები ○ მენჯემენტი/ამოღება • ანასტომოზის ფორმირების პრინციპები • ქირურგიული ენდოსკოპიის პრინციპები 	<p style="text-align: center;">ზუსტი და დაუჭიმავი შეპირისპირება</p> <p>კვანძის დადება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ერთი ხელით • ორი ხელით • ინსტრუმენტით • ზედაპირული • ღრმა <p>ჰემოსტაზი:</p> <ul style="list-style-type: none"> • სისხლმდენი სისხლძარღვის (ზედაპირული) კონტროლი • დიათერმია • ლიგირება ნაკერით • კვანძოვანი ლიგირება • კლიპირება • ტრანსფიქსიური ნაკერი <p>ქსოვილის რეტრაქცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქირურგიული პინცეტი • ჭრილობის რეტრაქტორის მოთავსება <p>დრენაჟის გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჩადგმა • ფიქსაცია • ამოღება <p>ქსოვილის დამუშავება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინსტრუმენტების სათანადო გამოყენება და ქსოვილებთან ფაქიზი მოპყრობა • ბიოფსიის ტექნიკა <p>ასისტენტობის ჩვენებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ოპერატორის ასისტირება 	<p>20</p> <p>100</p> <p>50</p> <p>20</p> <p>20</p> <p>20</p> <p>10</p> <p>20</p>	
--	---	--	--

<p>წინასაოპერაციო პერიოდის მართვა; ინტრაოპერაციული პერიოდის მართვა; პოსტოპერაციული პერიოდის მართვა. წინასაოპერაციო შეფასება და მენეჯმენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • კარდიორესპირატორული ფიზიოლოგია • შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დარღვევების წინასაოპერაციო კორექცია • სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი • თირკმლის უკმარისობა • სეფსისის პათოფიზიოლოგია – პრევენცია და პროფილაქტიკა • თრომბო-ემბოლიის პროფილაქტიკა • ლაბორატორიული ანალიზები და ინსტრუმენტული კვლევები • ოპერაციის რისკ ფაქტორები • პრემედიკაცია და სხვა პრეოპერაციული დანიშნულება <p>ინტრაოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოება საოპერაციოში, რაშიც შედის ასევე ავადმყოფის სწორი პოზიცია საოპერაციო მაგიდაზე და ნერვის დაზიანების თავიდან აცილება • უსაფრთხოება ბასრი ინსტრუმენტების მიმართ • დიათერმია, ლაზერის გამოყენება • ინფექციის რისკები • რადიაციის გამოყენება და რისკები • ლახტის გამოყენება მისი ჩვენების, ეფექტების და გართულებების ჩათვლით • ადგილობრივი, რეგიონალური და ზოგადი ანესთეზიის პრინციპები • ინვაზიური და არაინვაზიური მონიტორინგის პრინციპები • ვენური თრომბოზის პრევენცია • ოპერაცია ჰეპატიტის და შიდსის ვირუსის მატარებლებში • სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი 	<p>პრეოპერაციული შეფასება და მენეჯმენტი</p> <ul style="list-style-type: none"> • ავადმყოფის გასინჯვა და ისტორიის შევსება • წინასაოპერაციო კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია • თანმხლები დაავადებების მენეჯმენტი • რენიმაცია • შესაბამისი პრეოპერაციული დანიშნულება პრემედიკაციის ჩათვლით <p>ინტრაოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტრაოპერაციული მზრუნველობის უსაფრთხო წარმოება • ავადმყოფის სწორი პოზიცია • ნერვის დაზიანების პრევენცია • ბასრი ინსტრუმენტებით - დაზიანების პრევენცია • დიათერმული დაზიანების პრევენცია • ვენური თრომბოზის პრევენცია <p>პოსტოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ოპერაციის ჩანაწერების გაკეთება • ავადმყოფის მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი • პოსტოპერაციული ანალგეზია • სითხეებისა და ელექტროლიტების მენეჯმენტი • ორგანოთა მოსალოდნელი უკმარისობის გამოვლენა • ორგანოთა უკმარისობის საწყისი მენეჯმენტი • დიალიზის პრინციპები და ჩვენებები • პოსტოპერაციული გართულებების ამოცნობა, პრევენცია და მკურნალობა 	<p>20</p> <p>20</p> <p>30</p> <p>15</p> <p>10</p> <p>20</p> <p>10</p> <p>10</p> <p>8</p> <p>10</p>	
--	---	--	--

<p>პოსტოპერაციული მზრუნველობა</p> <ul style="list-style-type: none"> • პოსტოპერაციული მონიტორინგი • კარდიორესპირატორული ფიზიოლოგია • სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი • შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დარღვევები • თირკმლის უკმარისობა • სისხლის დანაკარგის პათოფიზიოლოგია • სეფსისის პათოფიზიოლოგია SIRS -ის და შოკის ჩათვლით • მულტიორგანული დისფუნქციის სინდრომი • ზოგადად პოსტოპერაციული გართულებები • პოსტოპერაციული ანალგეზიის მეთოდები <p>კვების მენეჯმენტის შეფასება და დაგეგმვა</p> <ul style="list-style-type: none"> • პოსტოპერაციული კვება • მალნუტრიციის ეფექტები – როგორც ჭარბი კვება, ისე გამოფიტვა • დაზიანებაზე მეტაბოლური პასუხი • კვების სტატუსის სკრინინგისა და შეფასების მეთოდები • ენტერალური და პარენტერალური კვების მეთოდები <p>ჰემოსტაზი და სისხლის კომპონენტები</p> <ul style="list-style-type: none"> • ჰემოსტაზის მექანიზმი, მათ შორის შედეგების კასკადი • დარღვეული ჰემოსტაზის პათოლოგია. მაგ.: ჰემოფილია, ღვიძლის დაავადებები, მასიური ჰემორაგია • სისხლის კომპონენტები • სისხლის პროდუქტების გამოყენების ალტერნატივა • სისხლის პროდუქტების დანიშვნის პრინციპები • სისხლის პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებული ავადმყოფის უსაფრთხოება <p>კოაგულაცია, ღრმა ვენების თრომბოზი და ემბოლიზმი:</p> <ul style="list-style-type: none"> • შედეგების მექანიზმი. • ოპერაციის და ტრავმის ზემოქმედება კოაგულაციის 	<p>ჰემოსტაზი და სისხლის პროდუქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • იმ მდგომარეობათა ამოცნობა, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს ჰემორაგიულ დიათეზამდე • ოპერაციის დროს კოაგულოპათიური სისხლდენის ამოცნობა • სისხლის პროდუქტების სათანადო გამოყენება • სისხლის პროდუქტების ტრანსფუზიის გართულებების მენეჯმენტი • <p>კოაგულაცია, ღრმა ვენების თრომბოზი და ემბოლიზმი:</p> <ul style="list-style-type: none"> • რისკის ქვეშ მყოფი ავადმყოფების ამოცნობა • პულმონარული ემბოლიზმისა და ღრმა ვენების თრომბოზის ამოცნობა და დიაგნოზი • ვენური თრომბოზისა და პულმონარული ემბოლიზმის საწყისი და მონიტორული მკურნალობა პროფილაქტიკის დაწყება <p>ანტიბიოტიკები</p> <ul style="list-style-type: none"> • ანტიბიოტიკების სათანადო დანიშნულება <p>პრეოპერაციული კვებითი მკურნალობის შეფასება და დაგეგმვა</p> <ul style="list-style-type: none"> • ხელოვნური კვების უზრუნველყოფისათვის მიდგომის ორგანიზება; უპირატესად საკვები დანამატები, ენტერალური კვება და პარენტერალური კვება <p>მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები</p> <ul style="list-style-type: none"> • ენდოკრინული და ელექტროლიტური 	<p>10</p> <p>20</p> <p>20</p> <p>20</p>	
--	--	---	--

<p>პროცესზე</p> <ul style="list-style-type: none"> • ტესტები თრომბოფილიაზე და კოაგულაციის სხვა დარღვევებზე • კვლევის მეთოდები თრომბოემბოლიურ დაავადებაზე ეჭვის დროს • ვენური თრომბოზისა და ფილტვის ემბოლიზმის მკურნალობის პრინციპები, ანტიკოაგულაციის ჩათვლით • თრომბოემბოლიზმის პროფილაქტიკა • ღრმა ვენების თრომბოზის რისკის კლასიფიკაცია და მენეჯმენტი • ღრმა ვენების თრომბოზის პრევენციის მექანიკური და ფარმაკოლოგიური მეთოდების ცოდნა <p>ანტიბიოტიკები</p> <ul style="list-style-type: none"> • ქირურგიულ ავადმყოფებში ძირითადი პათოგენები • ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობა • ანტიბიოტიკების გვერდითი მოვლენები • პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრინციპები <p>პერიოპრაციულ მენეჯმენტთან დაკავშირებული მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები</p> <ul style="list-style-type: none"> • თირეოიდული ჰორმონის სიჭარბისა და დეფიციტის პათოფიზიოლოგია და მასთან ასოცირებული ოპერაციული რისკები • ჰიპერ- და ჰიპოკალცემიის მიზეზები და შედეგები • კორტიკოსტეროიდული თერაპიის გართულებები • სტეროიდული უკმარისობის მიზეზები და შედეგები • შაქრიანი დიაბეტის გართულებები • ჰიპონატრემიის მიზეზები და შედეგები • ჰიპერკალემიისა და ჰიპოკალემიის მიზეზები და შედეგები 	<p>დარღვევების მქონე ავადმყოფების ისტორიის შეგროვება და გასინჯვა</p> <ul style="list-style-type: none"> • თირეოტიკოსიკოზის და ჰიპოთირეოიდიზმის კვლევა და მენეჯმენტი • ჰიპერ- და ჰიპოკალცემიის კვლევა და მენეჯმენტი • სტეროიდულ თერაპიაზე მყოფი ავადმყოფების პერიოპრაციული მენეჯმენტი • შაქრიანი დიაბეტის მქონე ავადმყოფების პერიოპრაციული მენეჯმენტი • ჰიპონატრემიის კვლევა და მენეჯმენტი • ჰიპერ- და ჰიპოკალემიის კვლევა და მენეჯმენტი • ცენტრალური ვენის კათეტერის ჩადგმა • ურეთრის კათეტერიზაცია 	<p>10</p> <p>10</p> <p>5</p> <p>10</p> <p>10</p> <p>10</p> <p>5</p> <p>5</p> <p>10</p>	
<p>ქირურგიული ტექნიკა და ტექნოლოგია:</p>	<p>ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება.</p> <p>ბარძაყის ამპუტაცია,</p> <p>ფალანგების ამპუტაცია,</p> <p>ფალანგების ამოსასხვრა,</p> <p>წინამხრის ამპუტაცია,</p>	<p>20</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი</p>

	<p>ტერფის ამპუტაცია შარპის მიხედვით, ტერფშორის ამოსახსვრა ლისფრანკის წესით, წვივის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია, ბარძაყის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია, სუპრაკონდილური ამპუტაცია სისხლძარღვთა ლიგაცია, ნეკრორაფია, ტენდორაფია, ლაპაროტომია და ლაპაროტომიული ჭრილობის დახურვა, ღვიძლის ბიოფსია ლაპაროსკოპული ტექნიკის ათვისება ტრაქეოსტომია, ტრაქეის ინტუბაცია</p>	<p>2 2 2 2 2 20 5 5 30 5 5 10 5 5</p>	<p>რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.</p>
<p>ძირითადი ქირურგიული დაავადებები არსებული სიმპტომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> • აბდომინური ტკივილი • აბდომინური შებერილობა • ნაწლავთა პერისტალტიკის ცვლილებები • გასტროინტესტინური სისხლდენა • რექტალური სისხლდენა • დისფაგია • დისპეფსია • სიყვითლე 	<ul style="list-style-type: none"> • ზოგადი ანამნეზი, გასინჯვა კვლევა • შესაბამის ქირურგიულ სუბსპეციალობისკენ გადამისამართება • იმ ავადმყოფთა რეანიმაცია და ადრეული მენეჯმენტი, რომლებმაც მიიღეს გულმკერდის, თავის, ხერხემლის, მუცლის ან კიდურების დაზიანებები 	<p>5 5</p>	
<p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • აპენდიციტი • გასტროინტესტინური ავთვისებიანი სიმსივნე • ნაწლავის ანთებითი დაავადება • დივერტიკულური დაავადება • ნაწლავის ობსტრუქციული გაუვალობა • შესორცებები მუცლის ღრუში <p>მუცლის წინა კედლის</p> <ul style="list-style-type: none"> • თიაქრები • პერიტონიტი • ნაწლავის პერფორაცია • საყლაპავის კეთილთვისებიანი დაავადება • პეპტიური წყლულოვანი დაავადება • ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და პანკრეასის კეთილთვისებიანი 	<ul style="list-style-type: none"> • მრავლობითი დაზიანების მქონე ავადმყოფთა რეანიმაცია და ადრეული მენეჯმენტი • სპეციფიური პრობლემები <ul style="list-style-type: none"> • უგონო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მენეჯმენტი • კანის დანაკარგის (დეფიციტის) საწყისი მენეჯმენტი • დამწვრობის საწყისი მენეჯმენტი • ცენტრალური ვენის კათეტერის ჩადგმა • გულმკერდის დრენაჟის ჩადგმა 	<p>5 5 2 5 5 10</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური</p>

<p>და ავთვისებიანი დაავადებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ჰემოროიდული და პერიანალური დაავადებები <p>მუცლის კედლის სტომხების გაფორმებაა</p> <p>სარძევე ჯირკვლის დაავადება</p> <ul style="list-style-type: none"> • ძუძუს სიმსივნეები და დვრილის გამონადენი • ძუძუს მწვავე ტკივილი <p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • ძუძუს კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები • მასტიტი და ძუძუს აბსცესი <p>პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები, წარმოდგენილი სიმპრომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> • კიდურის ქრონიკული და მწვავე იშემია • ანევრიზმული დაავადება • ტრანზიტორული იშემია • ვენების ვარიკოზული დაავადება <p>ქვემო კიდურის დაწყლულება მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • არტერიების ათეროსკლეროზული დაავადება • არტერიების ემბოლიური და თრმბოზული დაავადებები • ვენური უკმარისობა • დიაბეტური დაწყლულება <p>ენდოკრინული დაავადებები სიმპტომები და სინდრომები</p> <ul style="list-style-type: none"> • კისრის სიმსივნეები <p>მწვავე ენდოკრინული კრიზი მოიცავს შემდეგ დაავადებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • თიროიდული და პარათირეოიდული დაავადებები • თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებები • შაქრიანი დიაბეტი <p>პოლიტრაგმა ზოგადი</p> <ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული ავადმყოფების შეფასების ქულობრივი სისტემა • უბედური შემთხვევის ტრიაჟი <p>განსხვავებები ბავშვებში</p>	<ul style="list-style-type: none"> • დიაგნოსტიკური პერიტონეალური ლაჟაჟი • ურეთრალური კათეტერიზაცია • სუპრაპუბიკური კათეტერიზაცია (ეპიცისტოსტომია) <ul style="list-style-type: none"> • აბსცესის (ფლეგმონის) გასსნა • ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება. • ჰიდრადენიტის დრენირება <p>სუბფრენული აბსცესის დრენირება</p>	<p>5</p> <p>15</p> <p>3</p> <p>20</p> <p>30</p> <p>5</p> <p>3</p>	
--	---	---	--

<p>შოკი</p> <ul style="list-style-type: none"> • შოკის პათოგენეზი • შოკი და კარდიოვასკულარული ფიზიოლოგია • დაზიანებაზე მეტაბოლური პასუხი • მოზრდილთა რესპირატორული დისტრესს სინდრომი • არაჯვარედინი შეთავსების სისხლის გამოყენების ჩვენება <p>ჭრილობებისა და რბილი ქსოვილების დაზიანებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ცეცხლსასროლი იარაღითა და ჭურვით დაზიანებები • დანით მიყენებული ჭრილობები • ადამიანისა და ცხოველის ნაკბენი • რბილი ქსოვილების დაზიანების ბუნება და მექანიზმი • რბილი ქსოვილების დაზიანების მენეჯმენტის პრინციპები • ტრავმული ჭრილობების მენეჯმენტის პრინციპები • კომპარტმენტ სინდრომი <p>დამწვრობა</p> <ul style="list-style-type: none"> • დამწვრობის კლასიფიკაცია • დამწვრობის მენეჯმენტის პრინციპები <p>მოტეხილობები</p> <ul style="list-style-type: none"> • მოტეხილობების კლასიფიკაცია • მოტეხილობების პათოფიზიოლოგია • მოტეხილობების მენეჯმენტის პრინციპები • მოტეხილობების გართულებები • სახსრების დაზიანებები <p>ორგანოსპეციფიური ტრავმა</p> <ul style="list-style-type: none"> • თორაკალური ტრავმის პათოფიზიოლოგია • პნევმოთორაქსი • თავის დაზიანებები, რაშიც შედის ინტრაკრანიალური ტრავმული ჰემორაგია და თავის ტვინის დაზიანება • ხერხემლის სვეტის დაზიანება • პერიფერიული ნერვების დაზიანება • მუცლის ბლაგვი და შემავალი ტრავმა 			
---	--	--	--

<ul style="list-style-type: none"> • ელენთის დაზიანებით • სისხლძარღვთა დაზიანება, მათ შორის იატროგენული დაზიანებები • კრამ დაზიანება <p>კანის დეფიციტის მენეჯმენტის პრინციპები, მათ შორის კანის ტრანსპლანტაციები და კანის ნაფლეთები</p>			
--	--	--	--

მოდული 1.2.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ლაპაროსკოპიული ქირურგია (ბაზისური ნაწილი) -1 თვე.

2. მოდულის მიზანი და ამოცანები - კურსის მიზანია რეზიდენტი გაეცნოს ლაპაროსკოპიული ქირურგიის თანამედროვე ასპექტებს; საწყისი ეტაპი ფოკუსირებულია ბაზისური ლაპაროსკოპიული ქირურგიის აუცილებელი კომპონენტების, ტრადიციულ ქირურგიასთან მიმართებაში მისი უპირატესობების, ჩვენებებისა და უკუჩვენებების, შესრულების ტექნიკური სირთულეებისა და გართულებების შესწავლაზე. სწავლების პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტს საშუალება ექნება აითვისოს ბაზისური ლაპაროსკოპიული ტექნიკა, შეიძინოს თვალისა და ხელის კოორდინაციის, ლაპაროსკოპიული ინსტრუმენტების გამოყენების და სხვ.უნარ-ჩვევები.

ლიტერატურის ნუსხა

1. Laparoscopic Surgery. 2-nd Edition. Harvard medical School
2. Brunicaudi. Schvart's Principles of Surgery. 9th Edition.
3. G. Meloti, M. Merino. Laparoscopic Surgery /the nineties/ 1994

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1.2 სახით).

ცხრილი № 1.2

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციების რაოდენობა	შეფასების მეთოდები
ლაპაროსკოპიული ქირურგიის განვითარების ისტორია.	თვალისა და ხელის კოორდინაციის ვარჯიშები (სიმულატორებზე)	10	მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმის აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
ლაპაროსკოპიული ქირურგიის უახლესი მიღწევები.	პნეუმოპერიტონეუმის შექმნა. ტროაკარების მოთავსების ტექნიკა. (ექსპერიმენტულ ცხოველზე)	10	
ლაპაროსკოპიული აპარატურის გამოყენება. ლაპ. ინსტრუმენტები, ტროაკარების სახეობები და მათი	ექსტრაკორპორალური და ინტრაკორპორალური კვანძის დადება ტექნიკა. აკერის დადების ტექნიკა. (საგარჯიშო მოდელებზე)		

გამოყენების თავისებურებები	და ექსპერიმენტულ (ცხოველებზე)	10	
პნევმოპერიტონეუმის პათოფიზიოლოგია, გართულებები, გართულებების პრევენცია	ქსოვილების დისექციის ტექნიკა. (ექსპერიმენტულ ცხოველებზე)	10	

პროფესიული მზადების II წელი

პროფესიული მზადების II წლის მიზანი: მე-2 წლის სარეზიდენტო მზადების დროს, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს რეზიდენტის მიერ კლინიკური მსჯელობის და ქირურგიული ტაქტიკის არჩევის უნარის მაქსიმალურ განვითარებაზე. ამ წლიდან, რეზიდენტი ოფიციალურად უფლებამოსილია და ვალდებულიც არის, შეასრულოს I წლის რეზიდენტებსა და კლინიკის პერსონალს/პაციენტებს შორის მაკოორდინირებელი როლი. მან უნდა გაუზიაროს უმცროს კოლეგებს გამოცდილება, დაეხმაროს სპეციალობის ათვისებასა და დავალებების შესრულებაში. რეზიდენტს დღითიდღე უნდა უფართოვდებოდეს უფლებამოსილება, როგორც ჰოსპიტალურ, ისე ამბულატორულ ქირურგიაში მოღვაწეობის ფარგლებში. ამ დროს რეზიდენტი პაციენტებს უტარებს კონსულტაციებსაც. მე-2 წლის რეზიდენტი აუცილებლად უნდა დაიტვირთოს სასწრაფო და სასწრაფო-გადაუდებელი ქირურგიული დახმარების აღმოჩენის კუთხითაც, რისთვისაც ზედამხედველმა ექიმმა მას აუცილებელია შეუქმნას შესაბამამუშაო პირობები/გარემო.

მოდული 2.1.

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა** - ზოგადი ქირურგია II (ზოგადი ქირურგია - 3 თვე + ონკოქირურგია - 2 თვე), ხანგრძლივობა 5 თვე

2. **მოდულის მიზანი** -

მოდულის მიზანია, დიპლომის შემდგომი მზადების მესამე წლის განმავლობაში, რეზიდენტის მიერ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება, ასევე ზოგად ქირურგიაში და მომიჯნავე სპეციალობებში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ ჩვევების ეტაპობრივი სინთეზი.

მოდულის ამოცანები: დასახული მიზნის მისარწევად, რეზიდენტი იღრმავებს თეორიულ ცოდნას პროქტოლოგიაში, გულმკერდის ქირურგიაში, ონკოლოგიაში, მამოლოგიაში.

პარალელურად იგი ეუფლება ელენთის დაავადებების და ტრავმების დროს სპლენექტომიას და ელენთაზე ორგანოშემდახველი ოპერაციებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. თეორიული კურსი მოიცავს ინკოლოგიის, მამოლოგიის, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა და სხვა უბნების სფინქტერების ფუნქციების შესწავლას და პრაქტიკული ნაწილის შესაბამისი ცოდნის მადებასა და დამუშავებას.

ლიტერატურის ნუსხა -

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი.2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004. (თარგმანი).
3. ლ.კიკალიშვილი, ე.ყიფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი. 2005.

4. Schwartz; Shires; Spencer Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), P Ronan O'Connell (Author) , 25th edition, 2006
6. Sarrel B.E., Carabasi R.A. Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C. Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W. Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M. Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X. Scientific Basic for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.
12. Кузин М.И. Хирургические болезни, Москва, 2003.

http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm
 (clinical surgery, surgical videos).
www.surgical-tutur.org.uk
<http://www.surgicalcourses.org.uk/>
www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm
<http://www.update-software.com/publications/cochrane/>
<http://www.ncepod.org.uk/>
<http://www.intumed.com/>

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 3.1-ის სახით).

ცხრილი № 3.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
